



ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის
სენატის გადაწყვეტილება №16/15, 26.07.2019
სენატის თავჯდომარე, პროფესორი,
რექტორი _____ ი. შარაბიძე



აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების აკადემიური
დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი

ND 2-O15

შეთანხმებულია:

რექტორის პირველი მოადგილე _____ ი. კაცაძე

რექტორის მოადგილე _____ ა. კახიძე

რექტორის მოადგილე _____ მ. ლორია

შემუშავებულია:

იურიდიული და ადამიანური რესურსების

მართვის დეპარტამენტის უფროსი _____ რ. ყიფიანი



შინაარსი

1. ნორმატიული ბაზა -----	3
2. გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები-----	3
3. დებულების რეგულირების სფერო -----	5
4. აკადემიურ ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა -----	6
5. აკადემიის აკადემიური პერსონალის საშტატო დატვირთვა -----	6
6. კადემიური პერსონალის სააუდიტორიო საათების ხანგრძლივობა და ანაზღაურების წესი -----	7
7. აფილირება, პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობა და დამუშავება-- -----	9
8. მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება -----	10
9. აკადემიური პერსონალის მიერ გაცდენილი საათების აღდგენისა და ანაზღაურების წესი -----	12
10. შეზღუდვები მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებაში -----	13
11. კონტროლი წესის შესრულებაზე -----	13
12. გავრცელების არე-----	14
13. დანართი 1 - აფილირების შეთანხმების ფორმა-----	15

ND 2-O22

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 14.04.2016

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის არევიით ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის აღრიცხული კვ ზეშედეგი. რევიზიის ასლზე დაატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამართალი პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



1. ნორმატიული ბაზა

1. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ;
2. საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ ;
3. საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ ;
4. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება ND 2-001;
5. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის შინაგანაწესი ND 2-002;
6. საქართველოს შრომის კოდექსი ;
7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3 „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“

2. გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები

2.1. ტერმინები

2.1. აფილირება- ამ დებულების მიზნებისათვის, პროცესი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს აკადემიური პერსონალის აფეკლირების პროცესს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან, რომლის შესაბამისად განისაზღვრება აკადემიური პერსონალის სამტატო დატვირთვა.

2.2. სენატი – სენატი არის აკადემიის კოლეგიური წარმომადგენლობითი და მართვის ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედის რექტორი, რექტორის მოადგილეები, გარდა პირველი მოადგილისა, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ხელმძღვანელები, აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი და ფაკულტეტების საბჭოების ორ-ორი წარმომადგენელი.

2.3. რექტორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი და სენატის თავმჯდომარე;

2.4. სტუდენტი – პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობისა და აკადემიის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს საზღვაო აკადემიაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად;

2.5. აკადემიური პერსონალი – შედგება პროფესორებისა (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი) და ასისტენტებისაგან, რომლებიც აირჩევიან

ND 2-O22

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 14.04.2016

მოქმედად არ მიაღწება დოკუმენტის აქტუალობის ნაკლები ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიისა“. რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეზღვევაში ასლი მიაღწება როგორც „არაკორპორირებდა“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



კონკურსის გზით ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

2.6. პროფესორი –აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

2.7. ასოცირებული პროფესორი –აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

2.8. ასისტენტ-პროფესორი –აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში;

2.9. ასისტენტი – აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით;

2.10. მოწვეული მასწავლებელი – უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელიც აირჩევა/ინიშნება სენატის მიერ დადგენილი წესით, კონკურსის გზით და რომელიც უფლებამოსილია გაუძღვეს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს (საჭიროების შემთხვევებში შეიძლება გაუძღვეს სალექციო კურსსაც) აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, ფაკულტეტის მიერ გამოცხადებულ სასწავლო კურსებზე (საათებზე). მასწავლებლები მოიწვევიან განსაზღვრული საათების ჩასატარებლად მოკლევადიანი კონტრაქტით, საათობრივი ანაზღაურების წესით. მოწვეულმა მასწავლებელმა შეიძლება დაიკავოს მასწავლებლის, ან უფროსი მასწავლებელი პოზიცია განათლების, გამოცდილებისა და დამსახურების შესაბამისად.

2.11. ადმინისტრაციულ თანამდებობის პირები- რექტორი, რექტორის მოადგილეები, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, დეკანი, აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ამ მუხლის მიზნებისათვის ასევე დეკანის მოადგილეები.

2.12. ფაკულტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას;

2.13. ფაკულტეტის საბჭო – ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო;

2.14. სასწავლო/აკადემიური დეპარტამენტი – ფაკულტეტის ქვედანაყოფი, აკადემიის წესდების შესაბამისად მოქმედი სტრუქტურული ერთეული, რომელიც შექმნილია აკადემიის რექტორის ბრძანებით (№2-292, 08.05.15) და რომელიც წარმოადგენს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი სტრუქტურული ერთეული;

2.15. პროცესი - საწყისის საბოლოოდ გარდამქმნელი ურთიერთდაკავშირებული ან ურთიერთმოქმედი საქმიანობის სახეობათა ერთობლიობა;

ND 2-O22
სტატუსი: მოქმედი
რევიზია №5
რევიზიის თარიღი 26.07.2019
მოქმედებაშია 14.04.2016

მოქმედად არ მიაღწევა დოკუმენტის აქტუალურობის ნაკლები ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეზინული ცვლელის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარვე შემთხვევაში ასლი მიაღწევა როგორც „არაკორექტირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასლი იხილო ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



- 2.16. **რესურსი** - ყველაფერი რაც უზრუნველყოფს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუშაობას (მიეკუთვნება პერსონალი, მომსახურება, მოწყობილობები, დროის რესურსები, ტექნოლოგია და მეთოდოლოგია.);
- 2.17. **ნორმატიული დოკუმენტი** - შესაბამის მატარებელზე განთავსებული ინფორმაცია, რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს მოღვაწეობის გარკვეული სფეროსათვის;
- 2.18. **თანამდებობრივი ინსტრუქცია** – ნორმატიული დოკუმენტი, რაც განსაზღვრავს მოთხოვნებს კვალიფიკაციისადმი და დაკავებულ თანამდებობრივ მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;
- 2.19. **პერიოდული შემოწმება** – ქმედება, რაც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;

მუხლი 3. დებულების რეგულირების სფერო

- 1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (შემდეგში - აკადემია) აკადემიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას, ანაზღაურების წესსა და აკადემიური პერსონალის აფილირების წესს.
- 2. აკადემიური პერსონალის შემადგენლობას განეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი.
- 3. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესს.
- 4. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული უფლებამოსილია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის რექტორს წარუდგინოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის კანდიდატურა, რომლის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი ან/და მასწავლებელთა მოწვევის მიზნით აკადემიაში ცხადდება ღია კონკურსი.
- 5. მოწვეული მასწავლებლის სტატუსი განისაზღვრება შემდეგნაირად:
 - ა) უფროსი მასწავლებელი - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;
 - ბ) მასწავლებელი - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის არმქონე პირი.



მუხლი 4. აკადემიურ ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა

1. აკადემიაში სალექციო, პრაქტიკული, სემინარული და ლაბორატორიული სამუშაოს ერთი სააუდიტორო მეცადინეობის ხანგრძლივობა განისაზღვრება 50 წუთით, მეცადინეობებს შორის შუალედი - 10 წუთი.
2. აკადემიაში აკადემიური ჯგუფი შედგება 25 სტუდენტისგან.
3. თუ სტუდენტთა რაოდენობა არ იძლევა ამ მუხლის შესაბამისად ჯგუფების გადანაწილების საშუალებას, დეკანის გადაწყვეტილებით ჯგუფის ფორმირება შესაძლებელია სტუდენტთა განსხვავებული ოდენობით, მაგრამ ჯგუფი უნდა განისაზღვროს არაუმეტეს 30 სტუდენტისგან.
4. მოწვეული მასწავლებლების ანაზღაურება განისაზღვრება მე-6 მუხლის მე-11 პუნქტისა და მე-8 მუხლის შესაბამისად.
5. ამ მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად განსხვავებული წესით ფორმირებულ ჯგუფებში ანაზღაურება განისაზღვრება მე-10 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 5. აკადემიის აკადემიური პერსონალის საშტატო დატვირთვა

1. აკადემიური პერსონალის საშტატო აკადემიური დატვირთვა (ნორმა) განისაზღვრება:
 - ა) აუდიტორიებში, ლაბორატორიებში, საამქროებსა და ტრენაჟერულ დარბაზებში, ასევე საწავლო-საცურაო და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკაზე ჩასატარებელ მეცადინეობებზე დათმობილი (სააუდიტორო-საკონტაქტო) საათებისაგან;
 - ბ) წინასაგამოცდო კონსულტაციებზე დათმობილი საათებისაგან;
2. აკადემიური პერსონალის საშტატო ვალდებულება, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნორმისა, მოიცავს:
 - ა) საგამოცდო საკითხებისა და ბილეთების შედგენას, რეგულარულ განახლებას;
 - ბ) სტუდენტთა შეფასების პროცესში მონაწილეობას და საგამოცდო ნაშრომების გასწორებას;
 - გ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმოებას;
 - დ) სამეცნიერო და სხვა სახის კონფერენციებში, სემინარებში და სიმპოზიუმებში მონაწილეობას;
 - ე) სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობას;
 - ვ) სტუდენტთა სასწავლო რესურსების მომზადებას და ბიბლიოთეკაში განთავსებას;

ND 2-O22

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 14.04.2016

მოქმედად არ მიაღწევა დოკუმენტის აქტიურობის ნაკვეთი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიისა“. რევიზია ასლზე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმდა ასლი მიაღწევა როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge



- ზ) აკადემიური ჯგუფის კურატორობას;
 - თ) აკადემიის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობას;
 - ი) აკადემიის წესდებით, შინაგანაწესითა და სხვა ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას.
3. აკადემიური პერსონალის სამტატო დატვირთვაში არ შედის:
- ა) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩატარებული სააუდიტორიო საათები;
 - ბ) 20 სტუდენტზე ნაკლებ აკადემიურ ჯგუფში ჩატარებული საათები.

მუხლი 6. აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო საათების ხანგრძლივობა და ანაზღაურების წესი

1. სააუდიტორიო საათების ხანგრძლივობა საზღვაო აკადემიაში სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს 30 კვირას.
2. აკადემიური პერსონალის, აფილირების პირობების გათვალისწინებით, სააუდიტორიო დატვირთვა ერთ სრულ განაკვეთზე სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს 330 საათს. კვლევით საქმიანობაში, ადმინისტრაციულ საქმიანობასა და პროექტებში/გრანტებში ჩართულ აკადემიურ პერსონალს სენატის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაუწესდეთ განსხვავებული სააუდიტორიო დატვირთვა.
3. გამონაკლის შემთხვევებში, თუ ფაკულტეტის წერილობითი მიმართვის საფუძველზე სენატის გადაწყვეტილებით, აფილირების პირობების გათვალისწინებით აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო დატვირთვა ერთ სრულ განაკვეთზე არ შეადგენს წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი საათების ოდენობას (ცდომილება არა უმეტეს 20 საათი), ანაზღაურება მოხდება სრული დატვირთვის შესაბამისად არსებული თანამდებობრივი სარგოს მიხედვით.
4. აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო დატვირთვა ნახევარ განაკვეთზე სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს 165 საათს.
5. აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება ამ წესით გათვალისწინებული სავალდებულო აკადემიური დატვირთვის პირობებში გაიცემა პირის მიერ დაკავებული სამტატო მოცულობისა და შრომითი ვალდებულებების გათვალისწინებით.
6. არააფილირებულ აკადემიურ და მოწვეულ მასწავლებელთა სამუშაო დღის ხანგრძლივობა აფილირების პირობების გათვალისწინებით განისაზღვროს შემდეგნაირად:

ND 2-O22
სტატუსი: მოქმედი
რევიზია №5
რევიზიის თარიღი 26.07.2019
მოქმედებაშია 14.04.2016

მოქმედებს არსებული დოკუმენტის ადგილი ნაცვლი აქლი თუ მს არ აქვს რევიზია "დრეზული ვეზუმლი". რევიზია აქლი დაატანს პროცეს პასუხისმცემლი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში აქლი ჩათვლით რევიზია არაკონტროლირებადი დოკუმენტი და მასზე ბარიზის სამსახური პასუხისმცემლობას არ იღებს. დოკუმენტის ბილი და კონტროლირებადი აქლი იხილო ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



- ა) ერთ სრულ სამტატო განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის აკადემიაში ყოფნის სამუშაო დრო განისაზღვრება ყოველ სამუშაო დღეს არანაკლებ 6 საათისა.
- ბ) ნახევარ სამტატო განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის აკადემიაში ყოფნის სამუშაო დრო განისაზღვრება სამუშაო დღეს არანაკლებ 3 საათისა.
7. აკადემიურ პერსონალს, რომელიც იმავდროულად დასაქმებულია აკადემიის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, აქვს უფლება აიღოს არაუმეტეს აკადემიური თანამდებობის შესაბამისი სრული აკადემიური დატვირთვით განსაზღვრული შტატი.
8. აკადემიურ პერსონალს, რომელიც იმავდროულად დასაქმებულია აკადემიის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, უფლებამოსილია ისარგებლოს საადუტორიო დატვირთვით, რომელიც არ აღემატება კვირაში 8 საათს. გამონაკლისის სახით, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან/კურატორ მოადგილესთან შეთანხმებით, ადმინისტრაციულ პერსონალს შესაძლებელია მიეცეს ამ პუნქტით დადგენილი ნორმაზე მეტი საათები. რაზეც დეკანი წარუდგენს რექტორს დასაბუთებულ მოხსენებით ბარათს.
9. განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ აკადემიური პერსონალის წლიური სამტატო დატვირთვა აღემატება ამ მუხლის მე-2, მე-4 და მე-10 პუნქტებით დადგენილი საათების რაოდენობას, მაშინ ნორმის ზემოთ არსებული სასწავლო საათები ანაზღაურებას არ დაექვემდებარება. გამონაკლისია უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისაგან დაკომპლექტებულ სასწავლო ჯგუფებში ჩატარებული საათები, რომელთა ანაზღაურება მოხდება წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესითა და ოდენობით.
10. თუ აკადემიური პერსონალის მოწვევა აუცილებელი ხდება დამატებით საათებზე, აკადემიური პერსონალის დამატებითი დატვირთვის ოდენობა განისაზღვრება სამტატო ერთეულით განსაზღვრული დატვირთვის ნახევრით, კერძოდ:
- ა) სრული სამტატო ერთეულით განსაზღვრული დატვირთვის შემთხვევაში - 165 საათით;
- ბ) ნახევარი სამტატო ერთეულით განსაზღვრული დატვირთვის შემთხვევაში - 83 საათით.
11. ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დასაქმებულ აკადემიურ პერსონალს არ აუნაზღაურდება დამატებითი სააუდიტორიო საათები.
12. აკადემიური პერსონალის დამატებითი სააუდიტორიო საათობრივი დატვირთვის ანაზღაურების ოდენობა 1 აკადემიურ საათზე განისაზღვროს:
- ა) პროფესორისათვის - 15 (თხუთმეტი) ლარის ოდენობით;
- ბ) ასოცირებული პროფესორისათვის - 14 (თოთხმეტი) ლარის ოდენობით;
- გ) ასისტენტ-პროფესორისათვის - 13 (ცამეტი) ლარის ოდენობით;
- დ) ასისტენტისათვის - 12 (თორმეტი) ლარის ოდენობით.

ND 2-O22

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 14.04.2016

მოქმედებს არააქტიური დოკუმენტის ანალოგიური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიისა“. რევიზია ასევე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებული ასლი ჩაიხვეწა როგორც „არაკონტროლებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



13. თუ აკადემიური პერსონალი ვერ ასრულებს ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით დადგენილ სააუდიტორიო დატვირთვის, მისი ანაზღაურება განხორციელდება სამტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს პროპორციულად სამტატო დატვირთვისთან მიმართებით.

მუხლი 7. აფილირება, პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობა და დამუშავება

- აკადემიური პერსონალის აფილირება გულისხმობს აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნული თანამდებობის პირის მიერ ძირითადი სამუშაო ადგილის განსაზღვრას. აკადემიური პერსონალი აკადემიასთან შეთანხმებით განსაზღვრავს თავის აფილირებას, ამასთან აკადემიური პერსონალი შეიძლება დაინიშნოს თანამდებობაზე აფილირების პირობებით, რის შესახებ მიეთითება საკონკურსო პირობებში.
- აფილირების შედეგად, აკადემიური პერსონალი საზღვაო აკადემიის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში, რომლის დროს აკადემიური პერსონალი: ა) აკადემიაში ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო ან/და კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას; ბ) ახორციელებს სამეცნიერო კვლევას და აქვეყნებს მის შედეგებს აკადემიის სახელით; გ) აქტიურად არის ჩართული აკადემიის საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; დ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში;
- კონკურსის წესით აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირი საქმიანობის დაწყებამდე ვალდებულია მოახდინოს აფილირების თაობაზე წერილობითი შეთანხმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- აკადემიურ თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილე პირი ვალდებულია ხელმისაწვდომი გახადოს ყველა ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს აფილირების შეთანხმებაზე.
- საზღვაო აკადემიასთან აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირი ვალდებულია სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებამდე მიიღოს წერილობითი თანხმობა რექტორისაგან, თანხმობის გარეშე სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობის დამყარება საზღვაო აკადემიასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველზე.
- აკადემიის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში აქვს აკადემიური/სასწავლო დატვირთვა, ვალდებულია აღნიშნულის

ND 2-O22

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 14.04.2016

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის აჩვენის ნაკვეთი ანუ ის, არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ანუ დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებაში ანუ ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ანუ იხილეთ ვებგვერდი www.office.bsma.edu.ge



შესახებ ყოველი სემესტრის დაწყებამდე, ან/და დატვირთვის გაზრდისას, ასეთი ცვლილებებიდან ერთი კვირის განმავლობაში, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან წარმოადგინოს ინფორმაცია აკადემიური დატვირთვის რაოდენობის, მათ შორის, მაგისტრანტების ხელმძღვანელობის შესახებ;

7. წინამდებარე მუხლით დადგენილი ვალდებულებების დარღვევა წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

8. აკადემიასთან აფილირებულად მიიჩნევა:

ა) აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც სრული განაკვეთით დასაქმებულია აკადემიურ თანამდებობაზე მხოლოდ აკადემიაში;

ბ) აკადემიური თანამდებობის პირი, რომელსაც აკადემიურ თანამდებობასთან ერთად იმავდროულად უჭირავს აკადემიაში ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობა;

გ) აკადემიური თანამდებობის პირი, რომელთანაც გაფორმებულია აფილირების შეთანხმება, აკადემიაში დასაქმებულია აკადემიური თანამდებობის ნახევარ სამტატო ერთეულზე და აკადემიის შინაგანაწესით გათვალისწინებული წესით აკადემიის რექტორისაგან (დეკანის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე) მიიღო თანხმობა სხვა დაწესებულებაში შეთავსებითი სამუშაოს შესრულებისათვის.

9. აკადემიასთან აფილირებულად ვერ ჩაითვლება პირი, რომელიც სრული სამტატო განაკვეთით და აფილირებული სახით მუშაობს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

10. შრომითი ურთიერთობების დაწყებამდე აკადემიური პირი საზღვაო აკადემიასთან აფორმებს შეთანხმებას დანართი 1-ის შესაბამისად, მისი პერსონალური მონაცემების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხელმისაწვდომობისა და დამუშავების შესახებ.

მუხლი 8. მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება

1. ამ მუხლით განისაზღვრება იმ მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება, რომლებსაც არ აქვთ დაკავებული აკადემიაში აკადემიური თანამდებობა.

2. აკადემიაში მოწვეული მასწავლებლების მიერ ერთი საათის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვროს :

ა) უფროსი მასწავლებლისათვის - 18 (თვრამეტი) ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს საკონტაქტო საათებისა და სტუდენტთა შეფასების პროცესში მონაწილეობის ანაზღაურებას;

ბ) მასწავლებლისათვის - 16 (თექვსმეტი) ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს საკონტაქტო საათებისა და სსტუდენტთა შეფასების პროცესში მონაწილეობის ანაზღაურებას;

ND 2-022
სტატუსი: მოქმედი
რევიზია №5
რევიზიის თარიღი 26.07.2019
მოქმედებაშია 14.04.2016

მოქმედად არ მიაღწევა დოკუმენტის აქტუალობა ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეზული ცვ ზემლარი“. რევიზია ასლზე დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიაღწევა როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsmu.edu.ge



3. საზღვაო სფეროს მართვის და ექსპლუატაციის დონის გამოცდილების მქონე (მოქმედი კომპეტენციის სერტიფიკატის მქონე) მოწვეული სპეციალისტების ერთი აკადემიური საათის შრომის ანაზღაურების ოდენობა, რომელიც მოიცავს საკონტაქტო საათებსა და შეფასებისთვის განკუთვნილ დროს, განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ა) კაპიტნისა და უფროსი მექანიკოსისათვის - 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით;
- ბ) კაპიტნის უფროსი თანაშემწისა და მეორე მექანიკოსისათვის - 25 (ოცდახუთი) ლარის ოდენობით;
- გ) ელექტომექანიკოსისათვის - 25 (ოცდახუთი) ლარის ოდენობით;
- დ) სავახტო თანაშემწისა და სავახტო მექანიკოსისათვის - 20 (ოცი) ლარის ოდენობით.

4. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მოწვეული აკადემიური პერსონალის მიერ ერთი საათის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვროს წინამდებარე წესის მე-6 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე აუცილებელი ხდება გარე პერსონალის მოწვევა (აკადემიური ხარისხი სავალდებულოა), ერთი საათის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვროს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

5. პროფესიული მომზადების ცენტრში მოწვეული მასწავლებლის მიერ ერთი საათის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვროს 12 (თორმეტი) ლარის ოდენობით.

6. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ცალკეული სპეციალობების სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მოწვევის აუცილებლობიდან გამომდინარე ფაკულტეტის წარდგინებით რექტორის მიერ შეიძლება განისაზღვროს ამ წესით დადგენილი ოდენობისაგან განსხვავებული ერთი საათის შრომის ანაზღაურების ოდენობა, ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

7. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისაგან დაკომპლექტებულ სასწავლო ჯგუფებში ჩატარებული საათები ანაზღაურდება ამ წესის მე-6 მუხლის 11-ე პუნქტითა და მე-8 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ანაზღაურების ორმაგი ოდენობით.

10. აკადემიის დამხმარე პერსონალი, რომელსაც თავისი კომპეტენციით შეუძლია წაიყვანოს სასწავლო კურსი, უფლებამოსილია ისარგებლოს დატვირთვით, რომელიც არ აღემატება კვირაში 8 საათს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. გამონაკლისის სახით დამხმარე პერსონალს შესაძლებელია მიეცეს ამ პუნქტით დადგენილი ნორმაზე მეტი საათები.

ND 2-O22
სტატუსი: მოქმედი
რევიზია №5
რევიზიის თარიღი 26.07.2019
მოქმედებაშია 14.04.2016

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის ადგილი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულოვანი ვერსიის“ რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებული ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



მუხლი 9. აკადემიური პერსონალის მიერ გაცემილი საათების აღდგენისა და ანაზღაურების წესი

1. გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტისა, აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების მიერ აკადემიური დატვირთვით განსაზღვრული საათების გაცდენის შემთხვევაში მოხდება გაცემილი საათების ანაზღაურების დაქვითვა აკადემიური დატვირთვით განსაზღვრული საათების ანაზღაურების პროპორციულად, შინაგანაწესის შესაბამისად.
2. აკადემიური პერსონალი და მოწვეული მასწავლებლები ვალდებული არიან წინასწარ ცნობილი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობის ფარგლებში, დაუყოვნებლივ სიტყვიერად (ტელეფონით) გონივრულ ვადებში შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს წარუდგინონ განცხადება სამსახურში არყოფნის სავარაუდო პერიოდის შესახებ სათანადო მიზეზის აღნიშვნით.
3. დეკანი აღნიშნული შეტყობინების მიღებისთანავე ავალებს შესაბამისი სასწავლო აკადემიური დეპარტამენტის უფროსს, რათა არაუგვიანეს 2 (ორი) დღის განმავლობაში შეიმუშაოს მისი ჩანაცვლების/აღდგენის მექანიზმი.
4. წინასწარ ცნობილი მიზეზის გარეშე სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შესაბამისი სასწავლო აკადემიური დეპარტამენტის უფროსი შეიმუშავებს გაცემილი საათების აღდგენის გრაფიკს და წარუდგენს დეკანსა და სტუდენტთა რეგისტრაციის, მობილობისა და შეფასების დეპარტამენტს.
5. გაცემილი აკადემიური საათები უნდა აღდგეს დეკანის მიერ დადგენილ გონივრულ ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს 1 მომდევნო შუალედური ფამოცდებისა.
6. წინასწარ ცნობილი მიზეზით, სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მოწვეული პერსონალი უფლებამოსილია, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით, საკონტაქტო საათები წინასწარ ჩაატაროს ხელშეკრულებით განსაზღვრული დავირთვის ფარგლებში. გრაფიკი უნდა შედგეს აკადემიური პერსონალის სავარაუდო არყოფნამდე 1 თვით ადრე. წინასწარ ჩასატარებელი საკონტაქტო საათების გრაფიკს ფაკულტეტი უგზავნის სტუდენტთა რეგისტრაციის, მობილობისა და შეფასების დეპარტამენტს. გრაფიკი წინასწარ უნდა შეთანხმდეს რექტორთან.
7. აღსადგენი და აღდგენილი საათების შესახებ დასაბუთებულ ინფორმაციას დეკანი წარუდგენს რექტორს ყოველი სემესტრის ბოლოს.

ND 2-O22

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 14.04.2016

მოქმედად არ მათვლება დოკუმენტის აქტიური ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია "აღრიცხული ვერსიისა". რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმებული ასლი მათვლება როგორც "არაკონტროლებადი" დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



8. წინამდებარე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით აღდგენილი საათები ჩაითვლება არასაპატიოდ, და მოხდება მათი პროპორციული დაქვითვა შრომის ანაზღაურებიდან.

მუხლი 10. შეზღუდვები მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებაში

1. იმ შემთხვევაში, თუ ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით აკადემიური ჯგუფისათვის დადგენილი სტუდენტთა რაოდენობა არ შედგა, საათობრივი ანაზღაურება განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ა) 20 და მეტი სტუდენტისაგან დაკომლექტებულ ჯგუფში ჩატარებული მეცადინეობებისათვის - საათობრივი დატვირთვით განსაზღვრული ანაზღაურების 100 %;
- ბ) 15 – 19 სტუდენტისაგან დაკომლექტებულ ჯგუფში ჩატარებული მეცადინეობებისათვის - საათობრივი დატვირთვით განსაზღვრული ანაზღაურების 80%;
- გ) 10 – 14 სტუდენტისაგან დაკომლექტებულ ჯგუფში ჩატარებული მეცადინეობებისათვის - საათობრივი დატვირთვით განსაზღვრული ანაზღაურების 60%;
- დ) 5 – 9 სტუდენტისაგან დაკომლექტებულ ჯგუფში ჩატარებული მეცადინეობებისათვის - საათობრივი დატვირთვით განსაზღვრული ანაზღაურების 50%;
- ე) 5-ზე ნაკლები სტუდენტისაგან დაკომლექტებულ ჯგუფში ჩატარებული მეცადინეობებისათვის - საათობრივი დატვირთვით განსაზღვრული ანაზღაურების 30%;

2. წინამდებარე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ანაზღაურების მონიტორინგს ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტი და სტუდენტთა რეგისტრაციის, მობილობისა და შეფასების დეპარტამენტი.

3. ამ მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება პროფესიულ და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩატარებულ საკონტაქტო საათებზე.

მუხლი 11. კონტროლი წესის შესრულებაზე

1. კონტროლი წესის შესრულებაზე დაევალოს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, კურატორ მოადგილეს, ფაკულტეტებს, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს, სტუდენტთა რეგისტრაციის, მობილობისა და შეფასების დეპარტამენტს..

ND 2-O22

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 14.04.2016

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის ადგილი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეზული ცვ შემოღარი“. რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეზღუდვაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



მუხლი 12. გავრცელების არე

1. დოკუმენტის ორიგინალი ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
2. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (რომელიც წარმოადგენს დოკუმენტის საკონტროლო და აღრიცხულ ექზემპლარს) განთავსებულია www.office.bsma.edu.ge
3. დოკუმენტის აღრიცხული ექზემპლარის დაგზავნას აწარმოებს ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური outlook-ით (სამუშაო ფოსტით) და დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის მეშვეობით;

ND 2-O22

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 14.04.2016

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის არეობის ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „აღრიცხული ექზემპლარი“. რევიზიები ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარვე შემთხვევაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



შეთანხმება

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და
ამავე დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირს შორის
აფილირებისა და პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ

_____ 2018 წ.
თარიღი

№	აკადემიური თანამდებობის პირის მონაცემები	
1	სახელი და გვარი	
2	დაბადების თარიღი	
3	პირადი ნომერი	
4	რეგისტრაციის მისამართი	
5	ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი	
6	საკონტაქტო ტელეფონის ნომერი	
7	ელექტრონული ფოსტა	
8	საზღვაო აკადემიაში დაკავებული აკადემიური თანამდებობა	
9	საზღვაო აკადემიაში დაკავებული სხვა თანამდებობა	
10	სხვა დაწესებულებაში დასაქმების შესახებ ინფორმაცია	

ND 2-O22

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №5

რევიზიის თარიღი 26.07.2019

მოქმედებაშია 14.04.2016

მოქმედად არ მათვალვება დოკუმენტის არევიზია ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „ღირებულებები“. რევიზიის ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მათვალვება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სწავლური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



1. ჩემთვის ცნობილია საზღვაო აკადემიაში აფილირებასთან დაკავშირებული რეგულაციები, ვეთანხმები და ვადასტურებ, რომ არანაირი გარემოება არ არსებობს, რომელიც გამორიცხავს ჩემს აფილირებას საზღვაო აკადემიასთან და ინფორმირებული ვარ საპირისპირო გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების შესახებ.
2. თანახმა ვარ, რომ შრომითი ურთიერთობის ვადით, სამსახურეობრივი საჭიროებიდან და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით საზღვაო აკადემიამ დაამუშავოს ჩემი პერსონალური ინფორმაცია, ხოლო საზღვაო აკადემია კისრულობს ვალდებულებას პერსონალური ინფორმაცია დაამუშავოს სამსახურეობრივი საჭიროების, ეთიკისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

აკადემიური თანამდებობის პირის ხელმოწერა	
საზღვაო აკადემიის რექტორის ხელმოწერა	

ND 2-O22
 სტატუსი: მოქმედი
 რევიზია №5
 რევიზიის თარიღი 26.07.2019
 მოქმედებაშია 14.04.2016

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არეალი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „ღირებულებები“. რევიზიის ასლზე დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge